სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

00296850056812

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120691460

რეგისტრაციის თარიღი

02.07.2012 წ

ნოტარიუსი: ნინო უბერი
მისამართი: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. #4
ტელეფონი: (995 32) 231 23 11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის ორ ივლისს, მე, ნინო უბერს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის №4, მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: ბატონმა **ზურაბი ლორთქიფანიძემ.**

მან, როგორც **შპს „ახალი თბილისი“-ს დირექტორმა,** განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს: **ნანა კაპანაძეს. ზურაბი ლორთქიფანიძემ** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა მე შევამოწმე **ზურაბი ლორთქიფანიძის** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მე შევამოწმე **ზურაბი ლორთქიფანიძის,** როგორც **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი თბილისი“-ს** *(რეგისტრირებული: 20/07/2007. საიდენტიფიკაციო კოდი: 205215131. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზ. ტროლ. პარკ. ტერ. სად. I, ბინა №2)* **დირექტორის** უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.** *განაცხადის №500705. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12077733. ამონაწერის მომზადების თარიღი: 18/06/2012.*

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

მინდობილობა

ორიათას თორმეტი წლის ორ ივლისს, ზურაბი ლორთქიფანიძემ (დაბადებული 09.05.1979წ. პირადი №60001012892. პირადობის მოწმობა №გ 1150943, გაცემული 01.04.2008წ. სრს ქუთაისის სამსახურის მიერ. რეგისტრირებული მისამართი: ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №42) – **შპს „ახალი თბილისი“-ს დირექტორი,** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი“, **ნანა კაპანაძეს** (დაბადებული 01.08.1971წ. ამბროლაურში. პირადი №01008037746. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №61, კორპ. №19, ბინა №54), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი“ მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი

მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის, როგორც შპს „ახალი თბილისი“-ს *(საიდენტიფიკაციო კოდი: 205215131)* **დირექტორის სახელით:**

1. **წარმოადგინოს შპს და მისი დირექტორი საქმიან ურთიერთობებში, აწარმოოს** მოლაპარაკებები, დაიცვას მიმნდობის ინტერესები ქ. თბილისის მერიაში, მის ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის, არქიტექტურის სამსახურებში.
2. **აღნიშნული დავალებების განხორციელების მიზნით მინდობილი უფლებამოსილია გადაიხადოს დაწესებული გადასახადები, ჩააბაროს/შეკრიბოს (მოიპოვოს, გამოითხოვოს, დაამზადოს, შეადგინოს და სხვ.) ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მათ.**

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა

წინამდებარე აქტი მოქმედებს ერთი თვის ვადით და ძალაშია 2012 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით.

აქტის ეგზემპლარები და დანართი

წინამდებარე აქტი შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

- **შპს „ახალი თბილისი“-ს წესდების** *(დამოწმებული 19.07.2007წ. ნოტარიუსის გ.შარამ ზაალიშვილის მიერ, რ/რ №1-1850)* ასლი – იხ. სანოტარო აქტი: თარიღი: 21.02.2012წ. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №120154795;
- **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.** *განაცხადის №500705. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12077733.ამონაწერის მომზადების თარიღი: 18/06/2012. ელექტრონული ასლი განთავსებულია საჯარო რეესტრის სამეწარმეო რეესტრის ვებ-გვერდზე.*

სანოტარო მომსახურების ხარჯები:

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლების თანახმად, გადახდილია სანოტარო საზღაური 10 (ათი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი – ჯამში 12 (თორმეტი) ლარი.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წაუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მიმნდობი: შპს „ახალი თბილისი“-ს დირექტორი:

ზურაბი ლორთქიფანიძე

სახელი, გვარი

ნოტარიუსი ნინო უბერი

